

## თემატური მოკვლევის ჯგუფი

### სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ 2018-2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის საფუძველზე, დაიწყო თემატური მოკვლევა სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ.

### მოკვლევის მიზანი

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიზანია ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართული სახელმწიფო პროგრამების ანალიზი გენდერულ ჭრილში, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობისთვის.

### საკითხის შესახებ

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა გენდერული თანასწორობისთვის. სახელმწიფოს მხრიდან გენდერულ თანასწორობაზე გაცხადებული პოლიტიკა თავის თავში მოიცავს მათ შორის ეკონომიკურ პროგრამებზე ქალების თანაბარ ხელმისაწვდომობას. სამეწარმეო საქმიანობაში ქალების ჩართულობა დაბალია. მნიშვნელოვანია რომ სახელმწიფო პროგრამები განსაკუთრებულ ფოკუსს აკეთებდნენ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე.

### თემატური მოკვლევის ჯგუფის შემადგენლობა

„თემატური მოკვლევის ჯგუფში შედიან საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები.

თემატური მოკვლევის ჯგუფის მომხსენებელი - ნინო წილოსანი;

- დიმიტრი ცქიტიშვილი;
- ირინე ფრუიძე;
- ნინო გოგუაძე;
- გიორგი ტულუში.

საპარლამენტო მოკვლევის პროცესში მონაწილეობით დაინტერესებულ ორგანიზაციებმა უნდა დაადასტურონ მათი მონაწილეობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის პირობების დაცვით ინფორმაციის გადმოგზავნით, აღსანიშნავია, რომ

მოცემული ფორმით მიღებული ინფორმაცია ოფიციალურად იქნება დაფიქსირებული თემატური მოკვლევის ფარგლებში.

- თემატური მოკვლევის ჯგუფი შეისწავლის და გამოიკვლევს მიღებულ დოკუმენტებს. საჭიროების შემთხვევაში, ზეპირი მოსმენისთვის მოიწვევს ორგანიზაციის წარმომადგენლებს მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით.
- თემატური მოკვლევის ჯგუფი, მოკვლევის საკითხის ირგვლივ ინფორმაციის მისაღებად და გამოსაკვლევად, საჭიროებისამებრ, მოიწვევს საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს.
- თემატური მოკვლევის ბოლო ეტაპზე სამუშაო ჯგუფი მოამზადებს დასკვნას და რეკომენდაციების პროექტს, რომელიც წარედგინება გენდერული თანასწორობის საბჭოს.
- პროექტი ხორციელდება NDI-ის მხარდაჭერით.